

ფრანგული ენის მასწავლებლის საერთაშორისო
დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

„მრგვალი მაგიდა“

28 ნოემბერი 2019 წ.

სამუშაო ენები: ფრანგული, ქართული თარგმანით.

„ფრანგული ენის სწავლება ინოვაციური და კრეატიული მეთოდების
გამოყენებით“

თბილისი

2019

1. შეხვედრის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:

- 1.1 მასწავლებლების მიერ ფრანგული ენის სწავლების პროცესში გამოყენებული ინოვაციური და კრეატიული მეთოდების გაზიარება;
- 1.2 ფრანგული ენის მიმართულებით სიახლეების გაცნობა და ახალგაზრდა პედაგოგების მოზიდვა

2. „მრგვალ მაგიდაზე“ წარსადგენი თემატური მიმართულებები:

- 2.1 ფრანგული ენის სწავლებისას გამოყენებული ინოვაციური და შემოქმედებით მიდგომები;
- 2.2 ტექნოლოგიების გამოყენება ფრანგული ენის სწავლებისას (საგაკვეთლო პროცესში).

3. ღონისძიებაში მონაწილეობის პირობები:

ღონისძიებაში მონაწილეობისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გაგზავნა: agpfgeo@gmail.com

3.1. პირადი მონაცემები შემდეგი მითითებით: სახელი, გვარი, სკოლა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა);

3.2. მოხსენების აბსტრაქტი 250-300 სიტყვა; (აბსტრაქტი წარმოდგენილი უნდა იყოს MSword-ის A4-ის ფორმატი, Sylfaen-ი 12-იანი ფონტი; ხაზებს შორის დაშორება 1,5.

აბსტრაქტი უნდა მოიცავდეს: მოხსენების სახელწოდებას; საკითხის აღწერას; შერჩეულ აქტივობებს; მოსალოდნელ შედეგებს და დასკვნას.

აბსტრაქტის შეფასების სქემა

	3	2	1	0
	სრულიად შეესაბამება	შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
პრობლემის/ თემის აქტუალობა და მრგვალი მაგიდის თემატიკისადმი შესაბამისობა (ინოვაციური და შემოქმედებითი)				
საქმიანობის მიზნები გასაგებად და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული				
აქტივობების თანმიმდევრობა ლოგიკურია.				
ჩანს შესაძლო წვლილი ფრანგული ენის სწავლების არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებაში				

3.3. სრული მოხსენება (მაქსიმუმ 6 გვერდი) და პრეზენტაცია შესაბამისი ვიზუალური მასალა-სლაიდებით (PowerPoint, Prezi) (მაქსიმუმ 6-8 სლაიდი); მოხსენების დრო 10 წუთი.

4. პრეზენტაციაზე მომხსენებელთა შერჩევა:

4.1. კომისია, პროექტის მართვის ჯგუფისა და დარგის შემადგენლობით, განიხილავს წარმოდგენილ აბსტრაქტებს და შეარჩევს მომხსენებლებს, რომლებიც დადგენილ ვადაში წარმოადგენენ სრული მოხსენების ტექსტებსა და პრეზენტაციას ფრანგულ ენაზე.

5. ჩატარები პერიოდი:

5.1. მონაწილეთა ელექტრონული რეგისტრაცია და აბსტრაქტების მიღება - 2019 წლის 12 ნოემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით;

5.2 აბსტრაქტების შერჩევა და შერჩეული ავტორების ინფორმირება - 2019 წლის 17 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით;

5.3 სრული მოხსენებისა და პრეზენტაციის ჩაბარება - 2019 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით;

5.3. პრეზენტაციის თარიღი - 2019 წლის 28 ნოემბერი.

6 „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზატორები

საქართველოს ფრანგული ენის მასწავლებელთა ასოციაცია+

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი;

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკონტაქტო ინფორმაცია :

agpfgeo@gmail.com